

*წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის  
ოქმი №19*

*ქ. თბილისი*

*01.05.09 წ.*

*დღის წესრიგი:*

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ახალი წევრისათვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უჩა ძიმისტარიშვილის განცხადების (მიმართვის) განხილვა.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.
5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა.
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.
7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნა.
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დებულების დამტკიცება.
9. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. “ფუდ-მასტერს” შორის არსებულ 16.10.2007 წ. №21/08 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

10. “ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენის შესახებ” აკადემიური საბჭოს 13.04.2009 წლის №212 დადგენილების დამტკიცება.

*სხდომას ესწრებოდა:*

*წარმომადგენლობითი საბჭო – 19 წევრით (მათ დაემატა ერთი ახალი წევრი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ);*

*აკადემიური საბჭო – 9 წევრით; თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბელია, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მ.შ ირაკლი ბურდული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ.შ დარეჯან თვალთვაძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ლელა ბენიძე და სხვ;*

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

*კენჭისყრის შედეგი:*

*კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 19*

*მომხრე – 19;*

*წინააღმდეგი – 0;*

*თავი შეიკავა – 0;*

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

*მიღებული გადაწყვეტილება:*

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ქეთევან მარშავა არჩეული იქნა აკადემიური საბჭოს წევრად. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ქ-ნ ქეთევან მარშავასათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტისა და მის უფლებამონაცვლედ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ენვერ ლაგვილავას უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

*კენჭისყრის შედეგი:*

*კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა -19*

*მომხრე - 19;*

*წინააღმდეგი - 0;*

*თავი შეიკავა - 0;*

*მიღებული გადაწყვეტილება:*

შეუწყდეს უფლებამოსილება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ ქეთევან მარშავას და ცნობილი იქნეს ენვერ ლაგვილავას წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უნა ძიმისტარიშვილის განცხადება (მიმართვა), რომლითაც საბჭოს წევრი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1.ბ მუხლის საფუძველზე ითხოვს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 24 თებერვალს დეკანის არჩევნების წესის შესახებ მიღებული დებულების არარად ცნობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.2 მუხლის მიხედვით; აკადემიური

საბჭოს მიერ 16 თებერვალს მიღებული დებულების დამტკიცებას; ხოლო მისი დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ცვლილებათა პაკეტის შემუშავებასა და აკადემიური საბჭოსათვის მის გადაცემას.

სპიკერმა საბჭოს შეახსენა იმ განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, რაც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შეტანილი იქნა წესში, მისი ცალკეული საკითხები დაზუსტებისა და შევსების მიზნით. კერძოდ, იმის გამო, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებაში იყო მითითებული მხოლოდ არჩევნების დამთავრების დრო, წარმომადგენლობითმა საბჭომ შეავსო ეს ხარვეზი და განსაზღვრა ასევე დაწვევების დრო, ასევე იმის გამო, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არ იყო გათვალისწინებული, თუ ვის უნდა დაენიშნა არჩევნები, გასწორდა ეს ხარვეზიც და სხვ., ამდენად ცვლილებები იმდენად არარსებითი იყო, რომ მის შედეგად დოკუმენტს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია და იგი არსებითად ატარებდა მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს. ამასთან სპიკერმა აღნიშნა ის გარემოება, რომ თავად განმცხადებელი ესწრებოდა აღნიშნულ სხდომაზე კონკრეტული საკითხის განხილვას და გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კენჭისყრაზე თანხმობით.

სიტყვა გადაეცა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, განმცხადებელს უჩა ძიმისტარიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ სენატი იყო არაუფლებამოსილი ორგანო. მას მიაჩნია, რომ დეკანის არჩევის წესი უნდა განსაზღვროს აკადემიურმა საბჭომ, ხოლო სენატმა მის წინაშე წარმოდგენილი დებულება ან უნდა დაამტკიცოს, ან არ უნდა დაამტკიცოს, ხოლო თუ სენატი ცვლილებას შეიტანს, მაშინ ამგვარად მიღებული დებულება უნდა ჩაითვალოს არარად და თვით სენატმა უნდა ცნოს იგი ბათილად, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩეული დეკანებიც არ იქნებიან უფლებამოსილი პირები.

სპიკერის კითხვაზე: რატომ არ დასვით საკითხი სენატზე განხილვის დროს, მით უფრო, რომ დადებითი ხმა გაქვათ მიცემული, ბ-ნ უჩა ძიმისტარიშვილმა უპასუხა, რომ მაშინ არ იცოდა ამის თაობაზე, შეისწავლა შემდგომ ეს საკითხი და როგორც მომავალი იურისტი თავს ვალდებულად თვლის, რომ განაცხადოს აღნიშნულზე.